საოჯახო მედიცინის განვითარება საქართველოში

თამარ სულთანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად''.

თამარ სულთანიშვილი

15.06.2014

აბსტრაქტი

საოჯახო მედიცინა აღიარებული სამედიცინო მომსახურებაა ევროპაში, საქართველოში კი მისი განვითარების პროექტი პირველად გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა განახორციელა 1997 წლიდან. ორ წლიანი პროექტის (რომელიც 1999 წლის აგვისტოში დასრულდა) ფარგლებში, თბილისში საოჯახო მედიცინის სპეციალისტების მომზადების მიზნით, დეპარტამენტი თანამშრომლობდა ეროვნული ჯანდაცვის განვითარების ცენტრთან.

პროექტი მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის გაძლიერებას საოჯახო მედიცინაზე დაფუძნებული პირველადი ჯანდაცვის განვითარების საშუალებით.პროექტმა შექმნა საქართველოში პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომი, ეფექტიანი და მდგრადი დანერგვის საფუძველი, რაც საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტს წარმოადგენდა. მიუხედავად დიდი სულისკვეთებისა და მიღებული მხარდაჭერისა, საქართველოში აღნიშნული სფერო კვლავაც მოუწესრიგებელ და არაკოორდინირებულ სექტორს წარმოადგენს. ოჯახის ექიმების მხრიდან საფუძვლიანად ვერ ხორციელდება მათი მოვალეობების სრულყოფილი შესრულება, რაც იწვევს პაციენტთა უმრავლესობის უკმაყოფილებას. სწორედ, აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, კვლევის მიზანი იყო საკითხში ჩაღრმავება, წინ წამოწევა ძირითადი პრობლემატიკის და მისი გადაჭრის გზები. სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი და ჩაღრმავებითი ინტერვიუები. შედეგად მივიღე ბევრი საინტერესო ინფორმაცია.

საძიებო სიტყვები: საოჯახო მედიცინა, საქართველო